ხელშეკრულება №17
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ.ოზურგეთი 11 სექტემბერი 2014 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრი" შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ხალუქვაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გზა-მშენებელი-13" წარმოდგენილი მისი დირექტორის რეზო კვარაცხელიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვსარგებლობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით , შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „შემსყიდველი" შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს ხელშეკრულების 3.1. პუნქტში დასახელებულ საქონელს.

2. მიწოდების პირობები

2.1. მიწოდება ხორციელდება „შემსყიდველის" მიერ მოთხოვნის შესაბამისად

3. ღირებულება და ანგარიშწორების წესი

3.1. შესაძენი საქონლის დასახელებაა:

1. სტანდარტული ზომის საგზაო ნიშნები (CPV 34928470).

ხელშეკრულების მთლიანი თანხა შეადგენს 2360 (ორიათასსამასსამოცი) ლარს

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

3.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" წარუდგინოს სასაქონლო ზედნადები მიწოდებულ საქონელზე.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს ხელშეკრულებაში დასახელებული საქონლის მიწოდება „შემსყიდველის" მოთხოვნისამებრ.

4.2. „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების შემდეგ მოახდინოს მისი ღირებულების გადახდა 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 15 ოქტომბრამდე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები ვალდებულებას იღებენ, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებ[illegible] მიყენებული ზარალი.